


დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 7 ივლისი, 2007 წელი.
№ 131 (5732)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

იყიდება საქართველო!!!



3

„იყიდეთ. იყიდეთ ჩქარა, თორემ...“

მე ფაუნიტი ვარ!

„ბოროტება მაშინ ზეობს, როცა საზოგადოებაში ცნობილი ხალხი ჩუმადაა“

მთავარი თემა – რუსულ-ქართული ურთიერთობები

საპარლამენტო უმრავლესობისა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის რენე ვან დერ ლინდენის შეხვედრის მთავარი თემა რუსულ-ქართული ურთიერთობები იყო.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ევროპასთან ინტერვიუსას საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლავრენტი ბაქრაძემ განაცხადა, რენე ვან დერ ლინდენი რუსეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობის პოზიციის აქტიური დამცველია.

მისი თქმით, ძირითადი დავაუბრადა სტუმარს განუხარტოს, რომ საქართველო რუსეთთან რაც შეიძლება კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებით დაინტერესებულია, თუმცა არა მთავარი სუბიექტების, ჩრდილოატლანტიკური არჩევანისა და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე.

ამასთან, ბაქრაძე აღნიშნავს, რომ საქართველო მზად არის თანამშრომლობისთვის, როგორც დიკრედიტაციის გაზიარების პრინციპზე იმედა ამავეს.

ბაქრაძე ეღუარად კოპოიტის პრინციპსაც გამოეხატა, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე უარს ამბობს.

მისი თქმით, ასეთი მიდგომა კოპოიტის უფრო აშორებს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესებისგან, რაც მისი რეჟიმის პოლიტიკურ დემონტაჟს დააჩქარებს.

* * *

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რენე ვან დერ ლინდენთან შეხვედრისას საპარლამენტო კოპოიტის ურთიერთობების წარმომადგენლებმა სასამართლო რეფორმასა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე განხილვის შურადება.



როგორც შეხვედრის შემდეგ დავუბრადა ინტერვიუსას, საუბარი შეხეო რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, განსაკუთრებით კი რუსეთის უარყოფით როლს კონფლიქტის დარეგულირების საკითხში.

მათივე ინფორმაციით, საუბარი იყო, აგრეთვე, ირაკლი ბათიაშვილზე, როგორც პოლიტიკატიმარზე.

შეხვედრისას შურადება განხილულა არჩევანის დეზაბ. კოპოიტის პარტიების წარმომადგენელთა თქმით, საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები ამის რენ ვან დერ რელდენსაც.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ცინცალში, ხოლო შემდეგ შურთაში რავა. სტუმართან საშუაო საღილს საშრეთოსათის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაპოვი გაბარტავს.

თხილისიდან რენე ვან დერ ლინდენი და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია ბაქოში გაემგზავრება.

ინტერკრესნიუსი

სანდრა რულოვსს „ცუდი ფეხი“ ჰქონია?! 5

გაბაზრებული გაზარი. გაუბერებული გუბარნი და... სად იხსოვრონ ჩინელებმა?

ხელმოკლეობის სინდრომი 2 ქართულად



2014 წლამდე აფხაზეთი ჩვენთვის დაკარგულია!.. 2



რას აკეთებენ ყოველივე ზემოთ თქმულის ფონზე ოპოზიციის, ცნობილი ადამიანები? პრაქტიკულად არაფერს. ამიტომაც არის ზოგჯერა-ლომანას ზეობა

გულის გუხარი

ვიცი, რომ ძალზე განაღვი, ტრაფარეტული, ერთგვარად ტიპიური სატელევიზიო შერეული ნინობი...

ძველანა ლანის თავზე გვეხრება. ათასი წლის განმავლობაში, გვერდითად, არაფერიც ტაბახი...

„იყიდათ, იყიდათ ჩქარა, თორემ...“

გახსოვთ, ალბათ, „კაპიტანი რიდანი“ ჟანრი ლოკალური სხვა სხვადასხვა...

ეს წერილი წვედნაზე გავითვით გამომგვიხატავს ჩემი წერილის...

წვედნა ხელისუფლებას რომ ჰქონდეს, საპარტიო-საპარტიო...

SIC!



ამის, საიდან შემოდის, ფული ფულიაო(?)


დავუშვათ, არტულიც ასეა. გაგრამ იქნებ ვინმე მართი მამაკაცი...

ჩამოთვლილთაგან პირველი, ანუ თოვლის „ჭაზავი“, მისივე...

გორც „ცენტრონიტში“, მხარამ ხელისუფლებიდან ვიღაც-ვიღაც...

განსხვავებით უკვე ტრადიციულ ძეგლში მათი „ნაბეჭედი“...

ასეა ვინმეში ვიღაცაზე შედგენილად „გაბი“ და „ჯიუიკი“. მას-



ქერს ნინო უჭრავანასი ზრდი-ლოვის გულსტვიტვისარ შეეძება...

მე უფროსი ვარ!

ხალ ლიზარალოვას ამოფარება უკლებრივად, ლომია და მხარი...

შესახებ, რომელიც ასახავს ხელისუფლებიდან მოსასვლელად...

ამას რაც მოუხვია, ყველაფერი იქნა - 50 მილიონი ადამიანი...

ვიღობს პოლონეთში არის სეცტენტები თუ შვედნობა, რომელიც წერილის...

რას აკეთებენ ყოველივე ზემოთ თქმულის ფონზე ოპოზიციის...

მილიონი მამოსალებს საბარტოვილოში. ყველანი, ვინც უარყოფითად...

მიღიხად ვაჟი უფრომგვარა, ჩემო მკითხველო, ვიდრე გოქონია-ლომანის...


დავით მხიპია



„გორგობა გური ზეობის, როსა საზოგადოებაში ცნობილი ხალხი რუბადა“

ამას წინათ, „HISTORI“ არსზე ვუჭყურე მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს ადოლფ ჰიტლერის...

იყიდება საქართველო!!



სოვს, მხარამ ეს ორი მოსტრინი შენგებქატილვად გუბა-

იყიდათ, იყიდათ, სანამ დროა...

„სანამო“ იმ დროს ვაპლინდობა, „თავისუფლების ინსტიტუტის“...

ყოფა, სანამ ქართველებს გვიდავს, უნდა მოსწონდეს, თორემ შეიქმნება...

თული ფულით არის შეძენილი. „გორგობა“ ნაბეჭედიც არ ვიცი, რა ფულით შეიძინა...

ეგაც არ იყო, ლული კიდევ მისვინს, მხარამ „ქობა-კოლა“ თურა-

თელავში ხმაურისანი საკადრო ცვლილებები ბრკელდება

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის შედეგად, თანამდებობაზე...

მხეილ დავუდარიძემ დაიწყო, რომელიც საპარტიო დამფუძნებლის უფროსი...

გასულ კვირას თანამდებობიდან გადადგინა თელავის საკრებულოს...

საკრებულოში კომისიის თავმჯდომარე ნუნე ნიგინაძე გადადგინა...

ქაზეთის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო სახელმწიფო...

მამაცაშვილის „კლანის“ დანაშაულობით ხსენიან. შეგახსენებთ...

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომელთა არცერთი...

ილინ ბარტყოფლინი, კახეთიდან



პროექტი

ქალაქ თბილისის საკრებულო

აქტი № 07-1/336

5 ივლისი 2007 წელი

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

„დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის № 54 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის საკრებულოში მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში. დაინტერესებულ პირებს საკუთარი წერილობითი მოსაზრებების წარდგენა შეუძლიათ წარმოების დაწყებიდან 20 დღის განმავლობაში, ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატში (ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2).

საკრებულოს თავმჯდომარე გზგა ბეზარაძე

ქალაქ თბილისის საკრებულო

დადგენილება № 54

29 ივნისი 2007 წელი

„დედაქალაქის საკუთრებაში არსებული

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

- 1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 91 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 211-ე და 213-ე მუხლების შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა „დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში.
3. დადგენილება, ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, სადაც მითითებული იქნება დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებათა წარდგენის შესახებ, ასევე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება, გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
4. დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევებისა.
5. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გზგა ბეზარაძე

ქ. თბილისის საკრებულო გადაწყვეტილება

№ „—“ ————— 2007 წ. ქ. თბილისი.

„დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-25 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

- ა) მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. კონკურსის შედეგების შესახებ მთავრობის დადგენილების მიღებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მთავრობასთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.“;
ბ) წესის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. მთავრობის მირ აუქციონის შედეგების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში აუქციონის გამარჯვებულმა უნდა გადაიხადოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. გამონაკლის შემთხვევებში კომისია უფლებამოსილია დააწესოს თანხის გადახდის სხვა ვადა.“.
2. გადაწყვეტილება ძალაში გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2007 წლის 14 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გზგა ბეზარაძე

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-25 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის წესით“ აუქციონში გამარჯვებულმა, ქ. თბილისის საკუთრებაში არსებული მიწის განკარგვის კომისიისათვის შეთავაზებული საბოლოო თანხა უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს 15 დღის ვადაში, როგორც დადგენილმა პრაქტიკამ გვიჩვენა დედაქალაქის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აუქციონის წესით გაცემისას თანხის გადახდის 15-დღიანი ვადა არ არის საკმარისი, ხოლო მიწის ნაკვეთის კონკურსის წესით გაცემისას კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მთავრობასთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება არა უმეტეს 15 დღის ვადაში ხშირ შემთხვევებში ეს ვადა ასევე არ არის საკმარისი ხელშეკრულების გასაფორმებლად, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქალაქ თბილისის საკრებულოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში განხორციელდეს პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საბიუჯეტო ხარჯების გაზრდას.

პროექტის ავტორია ქ. თბილისის მერია.

ქალაქ თბილისის საკრებულო

აქტი № 07-1/337

5 ივლისი 2007 წელი

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

„ქ. თბილისში პარკირების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარ-

№ 131. პაპაიძე, 7 ივლისი, 2007 წელი.



მოების დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის № 56 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის საკრებულოში მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქ. თბილისში პარკირების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში. დაინტერესებულ პირებს საკუთარი წერილობითი მოსაზრებების წარდგენა შეუძლიათ წარმოების დაწყებიდან 20 დღის განმავლობაში, ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატში (ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2).

საკრებულოს თავმჯდომარე გზგა ბებაშვილი

2. ქ. თბილისის მთავრობამ უზრუნველყოს:
 - ა) სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრა
 - ბ) სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების წესებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება
 - გ) პარკირების წესების დარღვევაზე ოქმის შემდგენი უფლებამოსილი პირის განსაზღვრა
3. გადაწყვეტილება ძალაში გამოქვეყნებისთანავე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გზგა ბებაშვილი

დანართი 1

ქალაქ თბილისის საკრებულო

დადგენილება № 56

29 ივნისი 2007 წელი

„ქ. თბილისში პარკირების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-2 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 211-ე და 213-ე მუხლების შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა „ქ. თბილისში პარკირების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში.

3. დადგენილება, ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, სადაც მითითებული იქნება დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებათა წარდგენის შესახებ, ასევე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება, გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

4. დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევებისა.

5. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გზგა ბებაშვილი

პროექტი

ქ. თბილისის საკრებულო გადაწყვეტილება

„ „, ივნისი, 2007 წელი

ქალაქ თბილისში პარკირების რეგულირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ პუნქტის შესაბამისად:

ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისში სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების წესები დანართი №1 თანახმად.

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პარკირების წესები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესები შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად და განსაზღვრავს ქ. თბილისის მერიის კომპეტენციას პარკირების რეგულირებისა და პარკირების სფეროს მართვის საკითხებში, თბილისის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პარკირების ორგანიზებისა და კონტროლის განხორციელების წესებს.

2. წინამდებარე წესები შემუშავებული თბილისის ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზებისა და ქალაქის გზების ტრანსპორტისაგან განტვირთვის მიზნით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

პარკირება - თბილისის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებათა განთავსება, აგრეთვე მგზავრთა ჩასხდომის და გადმოსვლისათვის საჭირო დროზე მეტი ხნის ვადით გაჩერება

პარკირების ადგილი - მიწის, შენობის, ნაგებობის ან მათი ნაწილი, სპეციალურად მოწყობილი მოედანი ან სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი გზა

პარკირების რეგულირება - პარკირების ორგანიზება, პარკირების ადგილების განსაზღვრა, პარკირების საფასურის დადგენა და პარკირების კონტროლი

სატრანსპორტო საშუალება - გზებზე ერთეული მგზავრების გადასაყვანად და ტვირთების გადასაზიდად მოძრავი სატრანსპორტო ერთეული

ქ. თბილისის ტერიტორია - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია

პარკირების პირობები - პარკირების შეზღუდვა/დაშვება გარკვეული ხანგრძლივობითა და/ან დროით, სატრანსპორტო საშუალების დგომის ფორმა, პარკირება საფასური და შეღავათები საფასურის გადახდისას, ამ პირობების კომბინაცია ან რაიმე სხვა პირობები

პარკირების ოპერატორი - ქ. თბილისის მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პარკირების სფეროს მართვის, ორგანიზების, კონტროლისა და/ან ადმინისტრირების განმხორციელებელი პირი.

მუხლი 3. პარკირება

1. სატრანსპორტო საშუალების პარკირება დაიშვება მხოლოდ პარკირების ადგილებზე.

2. პარკირების ადგილების გარდა, სხვა ადგილას სატრანსპორტო საშუალების პარკირება დასაშვებია თუ სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება:

- ა) საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების ან ლიკვიდაციისათვის
 - ბ) უფლებამოსილი სტრუქტურების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამუშაოებისათვის
 - გ) მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენისათვის
 - დ) ნებადართული სარემონტო ან სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის
 - ე) ქალაქის დაგვა-დასუფთავებისთვის
3. პარკირების ადგილი შეიძლება იყოს სახელმწიფო, თბილისის თვითმმართველობის და კერძო საკუთრებაში.





№ 131. შაბათი. 7 ივლისი. 2007 წელი.

4. თბილისის მთავრობის მიერ პარკირების ადგილების განსაზღვრა ხდება:
ა) ქალაქის განვითარების ინტერესების
ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვის
გ) სატრანსპორტო ნაკადის
დ) ეკოლოგიური მდგომარეობის
ე) გზის გამტარუნარიანობის
ვ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების
ზ) საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სამარშრუტო სქემის და
თ) საზოგადოების სხვა ინტერესების გათვალისწინებით.
5. თბილისის ტერიტორიაზე ადგილებს, სადაც არ შეიძლება სატრანსპორტო საშუალების პარკირება, პარკირების ადგილებსა და პარკირების ადგილებზე სატრანსპორტო საშუალების დგომის ფორმას, შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან შეთანხმებით, კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს ქ. თბილისის მთავრობა.

მუხლი 4. პარკირების სფეროს მართვა

1. თბილისის ტერიტორიაზე პარკირების სფეროს მართვას ახორციელებს ქ. თბილისის მთავრობა.
2. ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილია პარკირების სფეროს მართვა განახორციელოს:
ა) ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის საშუალებით
ბ) ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საშუალებით
გ) ქ. თბილისის მთავრობის მიერ კონკურსის ან აუქციონის საშუალებით შერჩეული იურიდიული პირის საშუალებით.
3. პარკირების სფერო სამართავად შეიძლება გადაეცეს ერთ პირს ან განაწილდეს რამდენიმე პირებს შორის.
4. პარკირების სფეროს სამართავად გადაცემის პირობებს ადგენს თბილისის მთავრობა.

მუხლი 5. პარკირების ორგანიზება

1. თბილისის თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ან მისთვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის, შენობის, ნაგებობის ან მათ ნაწილზე, სპეციალურად მოწყობილ მოედანზე ან სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ გზის ნაწილზე პარკირება შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად და თბილისის მთავრობის მიერ დადგენილი პირობებით.
2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ გზებზე პარკირების პირობები დგინდება თბილისის თვითმმართველობის მიერ, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.
3. თბილისის თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ან მისთვის სარგებლობაში გადაცემულ და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შემოსაზღვრულ/შემოფარგლურ უძრავ ქონებაზე პარკირების პირობები დგინდება მოსარგებლის მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.
4. კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე პარკირების პირობები დგინდება მესაკუთრის მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.
5. თბილისის თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ან მისთვის სარგებლობაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე, შემოსაზღვრული/შემოფარგლური უძრავი ქონების გარდა, და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ გზებზე პარკირება დაიშვება თუ არ არის პარკირების აკრძალვის საგზაო ნიშანი ან/და საგზაო მონიშვნა.
6. პარკირების ადგილებზე სატრანსპორტო საშუალებების პარკირება შეიძლება საფასურის გადახდით ან მის გარეშე.
7. პარკირების ადგილები, სადაც პარკირება აკრძალულია ან ფასიანია, აღუჭურვილი უნდა იყვნენ შესაბამისი საგზაო ნიშნებით და საგზაო მონიშვნებით.
8. თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული ფასიანი პარკირების ადგილები, შესაბამისი საგზაო ნიშნების ან/და მონიშვნების გარდა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების დგომის მაკონტროლებელი სპეციალური მოწყობილობებითა და პარკირების პირობების ამსახველი საინფორმაციო დაფით. სხვა საკითხებთან ერთად, საინფორმაციო დაფაზე აღნიშნული უნდა იყოს, რომ პარკირების წესების დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელია პარკირებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა და თვლების ბლოკირება.
9. ტროტუარებზე პარკირების ადგილების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ გაჩერებულმა სატრანსპორტო საშუალებებმა დაბრკოლება არ შეუქმნან სხვა სატრანსპორტო საშუალებების ან ქვეითის მოძრაობას.
10. მძღოლმა, სატრანსპორტო საშუალების პარკირება უნდა მოახდინოს ერთ პარკირების ადგილზე და ისე, რომ
ა) დაბრკოლება არ შეუქმნას სხვა სატრანსპორტო საშუალების პარკირებას და მოძრაობას;
ბ) ხელი შეუშალოს საგზაო ნიშნის ან მისი ნაწილის იდენტიფიცირებას.

11. ფასიანი პარკირების ადგილზე დაყენებული სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა უნდა გადაიხადოს ერთ-ერთი იმ საშუალებითა და ფორმით, რომელიც პარკირების ამ ადგილისათვის არის დადგენილი და უნდა წარმოადგინოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი გადახდის დამამტკიცებელი საბუთი.
12. ინვალიდის საცნობი ნიშანის მქონე სატრანსპორტო საშუალებებისათვის განსაზღვრული პარკირების ადგილები უნდა იყოს შესაბამისად გამოყოფილი და აღნიშნული. ასეთ პარკირების ადგილზე შეიძლება მხოლოდ ინვალიდის საცნობი ნიშანის მქონე სატრანსპორტო საშუალებების პარკირება.
13. უნარშეზღუდულ პირს, რომელიც მართავს ინვალიდის საცნობი ნიშანის მქონე სატრანსპორტო საშუალებას, პარკირების აკრძალვის ადგილას პარკირების უფლება აქვს, თუ
ა) ახლოს, არ არის პარკირების ადგილი უნარშეზღუდული პირებისათვის ან არის მაგრამ იმ დროისათვის არ არის თავისუფალი;
ბ) ახლოს, არ არის პარკირების ადგილი ან არის მაგრამ იმ დროისათვის არ არის თავისუფალი;
გ) გაჩერებული სატრანსპორტო საშუალება არ უქმნის დაბრკოლებას ტრანსპორტის მოძრაობას, გამგეულს, არ ხერგავს თავისუფალ გასასვლელს ფეხით მოსიარულეთათვის, საბავშვო ან უნარშეზღუდული პირის ეტლისათვის.
14. ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს:
ა) ტაქსების, ავტობუსების, დედაქალაქში ტრანზიტით შემომავალი სატრანსპორტო საშუალებების და სხვა მზგავსი ტიპის სატრანსპორტო საშუალებების პარკირების პირობები;
ბ) მსუბუქი ტაქსების, დედაქალაქში ტრანზიტით შემომავალი სატრანსპორტო საშუალებების და ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანებით დაკავებული სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა მზგავსი ტიპის სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილები;
გ) ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვისათვის სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილები და პარკირების პირობები;
დ) პარკირების პირობების ამსახველ საინფორმაციო დაფაზე დასატანი აუცილებელი ინფორმაცია.
15. ტაქსებისა და ავტობუსების პარკირების ადგილებზე აკრძალულია სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებების პარკირება.
16. სატრანსპორტო საშუალების პარკირება, რომლის სიგანეც აღემატება 2.5 მეტრს, ამ წესის მესამე მუხლის მესამე პუნქტში ჩამოთვლილი სატრანსპორტო საშუალებების გარდა, პარკირება შესაძლებელია მხოლოდ პარკირების იმ ადგილებზე, სადაც არსებობს შესაბამისი ნიშანი.
17. სადღესასწაულო და მასობრივი ღონისძიებების გამართვის დროს, საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან რაიმე სხვა მიზნით სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისთვის ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილია დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქ. თბილისის ტერიტორიის ცალკეულ ადგილებში, გარკვეულ დღეების, დღე-ღამის გარკვეული მონაკვეთების განმავლობაში ცალკეული სახეობის ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის აკრძალოს/დაუშვას პარკირება ან/და დააწესოს პარკირების სპეციალური პირობები.
18. საწვავის, რადიაქტიური და ტოქსიკური ნივთიერებების, საკვების, გაზისა და სხვა აალებადი ნივთიერებების, ან აღნიშნული ნივთიერებებისათვის განკუთვნილი კონტეინერების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკირება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ პარკირების ადგილებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის ჩერდება მომხმარებლისათვის.

მუხლი 6. პარკირების საფასური

1. პარკირების საფასური წესდება ქალაქში არსებული საწვავის ფასის და/ან თბილისის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის შესაბამისად.
2. პარკირების საფასურის ოდენობა შეიძლება დადგინდეს პარკირების დროის მონაკვეთის მიხედვით.
3. პარკირების საფასურის გადახდაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ფასიანი პარკირებულ ადგილზე პარკირებული სატრანსპორტო საშუალების მძღოლს ან მფლობელს.
4. პარკირების საფასური შესაძლებელია დადგინდეს:
ა) პარკირების სფეროს სამართავად გადაცემის პირობებში;
ბ) პარკირების ოპერატორის მიერ.
5. პარკირების სფეროს სამართავად გადაცემის პირობებში დაფიქსირებული პარკირების საფასურის ზღვრული ოდენობის ფარგლებში, პარკირების ოპერატორს შეუძლია მოახდინოს პარკირების საფასურის დიფერენცირება ამ წესებისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.
6. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, პარკირების დროის მონაკვეთზე ნაკლები დროით სატრანსპორტო საშუალების პარკირებისას გადაიხდება პარკირების დროის ერთი ერთეულისათვის დადგენილი საფასური.
7. ფასიანი პარკირების ადგილები, მდებარეობის მიხედვით, შეიძლება დაიყოს სამ ზონად:
ა) პირველი ზონა: პარკირებაზე მაღალი მოთხოვნის კომერციული აქტივობის ცენტრალური უბნები



- ბ) მეორე ზონა: პარკირებაზე მაღალი მოთხოვნის, არაცენტრალური, კომერციული აქტივობით გამორჩეული საცხოვრებელი უბნები
- გ) მესამე ზონა: პარკირებაზე მაღალი მოთხოვნის საცხოვრებელი გარეუბნები
- 8. პარკირებისათვის საფასური შეიძლება დიფერენცირებული იყოს:
 - ა) პარკირების ადგილის მდებარეობის მიხედვით, მათ შორის პარკირების ადგილების ზონებიდან გამომდინარე
 - ბ) პარკირების ადგილების სპეციალიზაციის მიხედვით
 - გ) მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოს მიხედვით
 - დ) სატრანსპორტო საშუალების სახეობის მიხედვით
 - ე) დღის მონაკვეთში პარკირების მიხედვით
 - ვ) პარკირების ხანგრძლივობის მიხედვით
 - ზ) კვირის დღეებში პარკირების მიხედვით
 - თ) ამ პირობების კომბინაციით ან სხვა პირობებით
- 9. ქ. თბილისში პარკირების საფასურის გადახდა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი გადახდის ნებისმიერი საშუალებით.

მუხლი 7. შეღავათები პარკირების საფასურის გადახდის დროს

1. ქ. თბილისის ტერიტორიაზე პარკირების ადგილთან ახლოს მცხოვრები და მომუშავე მოქალაქეებისათვის მოქმედებს პარკირების 12-საათიანი უფასო რეჟიმი. ფასიან პარკირების ადგილებზე, უფასო პარკირების კონკრეტულ დროს ადგენს პარკირების ოპერატორი.
2. პარკირების ადგილთან ახლოს მცხოვრები და მომუშავე მოქალაქეებისათვის პარკირების დამატებითი შეღავათები შესაძლებელია დადგინდეს პარკირების სფეროს სამართავად გადაცემის პირობებში.
3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტში აღნიშნული შეღავათები ვრცელდება მხოლოდ იმ მძღოლებისათვის, რომლებიც ფლობენ პარკირების ოპერატორის მიერ გაცემულ დანართი №1-ის შესაბამის სპეციალურ საშვს.
4. საშვის მისაღებად პირმა განცხადებით უნდა მიმართოს პარკირების ოპერატორს და განცხადებასთან ერთად წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მართვის მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი და სატრანსპორტო საშუალების მფლობელობისა და მისი საცხოვრებელი/სამუშაო ადგილის დამადასტურებელი სხვა საბუთი.
5. ერთ პირზე გაიცემა მხოლოდ ერთი საშვი.
6. საშვის მოქმედების ვადა 1 წელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სატრანსპორტო საშუალების ვადა განისაზღვრება სხვა ხანგრძლივობით, რაც აღნიშნული უნდა იყოს საშვზე.
7. საშვი დამატებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე, მარჯვენა ზედა კუთხეში.
8. თუ საშვის მფლობელი მის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებას გადასცემს სხვა პირს ან შეიცვლის საცხოვრებელ/სამუშაო ადგილს, მან 7 დღის განმავლობაში პარკირების ოპერატორს უნდა მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია და ჩააბაროს საშვი მას.
9. საშვის მფლობელს არა აქვს მისი სხვისთვის გადაცემის უფლება.
10. საშვის მოქმედება ვადაზე წყდება იმ შემთხვევაში თუ:
 - ა) საშვი მიღებულია არასწორი ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე;
 - ბ) სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა საშვი სხვას გადასცა;
 - გ) სატრანსპორტო საშუალება გაიყიდა ან სხვას გადაეცა სარგებლობაში;
 - დ) სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა შეიცვალა საცხოვრებელი/სამუშაო ადგილი;

მუხლი 8. კონტროლი და პასუხისმგებლობა

1. ამ წესების დაცვაზე კონტროლს და ადმინისტრირებას ახორციელებს ქ. თბილისის მთავრობა.
2. ქ. თბილისის მთავრობას შეუძლია კონტროლისა და ადმინისტრირების ფუნქცია მთლიანად ან ნაწილობრივ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადასცეს პარკირების ოპერატორს, რომელიც
 - ა) ქ. თბილისის მთავრობის მიერ არის დაფუძნებული
 - ბ) ქ. თბილისის მთავრობის მიერ კონკურსის ან აუქციონის საშუალებით არის შერჩეული.
3. პარკირების ოპერატორის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით.
4. სატრანსპორტო საშუალების მფლობელისა და მძღოლის პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე პარკირებისათვის, პარკირების ნიშანზე მითითებული საათობრივი შეზღუდვის, ამ წესების და ამ წესის საფუძველზე შესაბამისი უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ მიღებული აქტის დარღვევისათვის ადგენს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი.
5. პარკირების წესების დარღვევისათვის შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი უნდა შეიცავდეს წესის დარღვევის კატეგორიას, სატრანსპორტო საშუალების მონაცემებს და წესის დარღვევის დროს და სხვა მონაცემებს.
6. სატრანსპორტო საშუალებას, რომლის თვლებიც ბლოკირებულია:
 - ა) შეიძლება მოეხსნას ბლოკირება უფლებამოსილი პირის მიერ ჯარიმის

- გადახდის გარეშე, თუ ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესების დაცვა ან უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ბ) აეხსნება ბლოკირება ჯარიმის, სადგომზე შენახვის ხარჯებისა და ბლოკის ახსნასთან დაკავშირებული საფასურის გადახდიდან არაუგვიანეს 24 საათისა.
- 7. სატრანსპორტო საშუალების სპეციალური სადგომიდან გამოყვანის ან თვლების ბლოკირების ახსნის საფასურის ოდენობას ადგენს შესაბამისი პარკირების ოპერატორი.
- 8. სპეციალურ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ან მძღოლის მიერ შესაძლებელია გაყვანილი იქნეს სპეციალური სადგომიდან ჯარიმის, ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯების გადახდიდან არაუგვიანეს შემდეგი დღისა. გადახდა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი საბუთით.
- 9. სატრანსპორტო საშუალების მძღოლი/მფლობელი პარკირების წესების დარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმების გადახდისაგან, სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის ან თვლების ბლოკირების ახსნის საფასურის ან შესაბამისი ჯარიმის გადახდისაგან განთავისუფლება შესაძლებელია თუ ის წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას, რომ წესების დარღვევის მომენტში სატრანსპორტო საშუალება არ იყო მის მფლობელობაში.
- 10. წესების დაცვაზე კონტროლის, ადმინისტრირებისა და პასუხისმგებლობის სხვა პირობებს ადგენს ქ. თბილისის მთავრობა.

დანართი 1

პარკირების ადგილას ახლოს მცხოვრები პირის განცხადება

პარკირების საშვის მისაღებად

მე _____

სახელი, გვარი

პირადი № _____

მფლობელი ავტომობილსა _____

მარკა _____ ნომერი _____

მცხოვრები მისამართზე: _____

გთხოვთ, ქ. თბილისის საკრებულოს „ ივლისის № „ “ გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე საატრანსპორტო საშუალების პარკირების წესების საფუძველზე მომცეთ პარკირების საშვი მისამართზე:

ამასთან ვადასტურებ, რომ საშვს გამოვიყენებ აღნიშნული წესების შესაბამისად.

ჩემს საცხოვრებელ სახლთან ახლოს პარკირების ადგილი საკუთრებაში (აღნიშნეთ შესაბამისი)

[] მაქვს [] არ მაქვს

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სიმართლეა.

თარიღი _____ ხელმოწერა _____

პარკირების ადგილას ახლოს მომუშავე პირის განცხადება

პარკირების საშვის მისაღებად

მე _____

სახელი, გვარი

პირადი № _____



№ 131. შაბათი. 7 ივლისი. 2007 წელი.



მფლობელი ავტომანქანა -----

მარკა ----- ნომერი -----

მომუშავე მისამართზე: -----

გთხოვთ, ქ. თბილისის საკრებულოს „ივლისის № „ გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე საატრანსპორტო საშუალების პარკირების წესების საფუძველზე მომცეთ პარკირების საშვი მისამართზე:

ამასთან ვადასტურებ, რომ საშვს გამოვიყენებ აღნიშნული წესების შესაბამისად.

ჩემს სამსახურს პარკირების ადგილი საკუთრებაში (აღნიშნეთ შესაბამისი) [] აქვს [] არ აქვს ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სიმართლეა.

თარიღი ----- ხელმოწერა -----

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისში პარკირების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტზე

„ქალაქ თბილისში პარკირების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება გამოწვეულია „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში (2007 წლის 27 აპრილის №4687) შესული დამატებებით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ კომპეტენციად განისაზღვრა პარკირების ადგილების განსაზღვრა და შესაბამისად „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში (2007 წლის 27 აპრილის №4687) შესული დამატებებით ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილებად განისაზღვრა ქ. თბილისის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების რეგულირება და პარკირების წესის განსაზღვრა. ამრიგად, დღის წესრიგში დადგა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

გადაწყვეტილების მიღება არ გამოიწვევს რაიმე სახის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას.

პროექტის ავტორია ქ. თბილისის მერია.
პროექტის წარმდგენია ქ. თბილისის მერია.

ქალაქ თბილისის საკრებულო

სნობა № 07-1/335

5 ივლისი 2007 წელი

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს 8-13 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის № 57 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის საკრებულოში მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს 8-13 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში. დაინტერესებულ პირებს საკუთარი წერილობითი მოსაზრებების წარდგენა შეუძლიათ წარმოების დაწყებიდან 20 დღის განმავლობაში, ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატში (ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2).

საკრებულოს თავმჯდომარე **გაბა ბაგაშვილი**

ქალაქ თბილისის საკრებულო

დადგენილება № 57

29 ივნისი 2007 წელი

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს 8-13 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

1. „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 211-ე და 213-ე მუხლების შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს 8-13 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში.

3. დადგენილება, ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, სადაც მითითებული იქნება დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებათა წარდგენის შესახებ, ასევე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება, გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

4. დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევებისა.

5. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გაბა ბაგაშვილი**

პროექტი

ქ. თბილისის საკრებულო გადაწყვეტილება

№ „—“ ----- 2007 წ. ქ. თბილისი.

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 01 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისი საკრებულომ გადაწყვიტა: 1. „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 01 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) გადაწყვეტილების პირველი მუხლის 26-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„26. სპეციალური (ზონალური) შეთანხმება (ნებართვა) — შეთანხმება, რომლის მიღება საავტორიტეტო უძრავ ქონებაში (ობიექტში) ცვლილებების შეტანამდე, ამ ქონების (ობიექტის) ისეთი გამოყენების შემთხვევაში, რომელიც კანონით დადგენილი წესით მოითხოვს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას (ნებართვას).“;

ბ) გადაწყვეტილების პირველი მუხლის 30-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„30. უფლებრივი ზონირება — საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასახლებათა ტერიტორიების ცალკეული ზონებისთვის სივრცით-ტერიტორიული განვითარების პირობების დადგენა.“;

№ 131. შაბათი. 7 ივლისი. 2007 წელი.



გ) გადაწყვეტილების პირველი მუხლის 30-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„40. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია - ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული პროექტის წინა და საპროექტო დოკუმენტების ერთიანი სისტემა, რომელიც წარმოადგენს დასახლებათა სამართლებლივი, ტერიტორიულ-სივრცითი და ფუნქციური განვითარების საფუძველს.“

2. გადაწყვეტილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 38-54-ე პუნქტები:

„48. განაშენიანების რეგულირების გეგმა - ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) და/ან აზუსტებს ცალკეული გეგმარებით ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

49. გეგმარებითი დავალება - დაგეგმვაზე უფლებამოსილი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც ადგენს დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს, ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს.

50. მიწის ნაკვეთის საზღვარი - მიწის ნაკვეთის არსებული ან საპროექტო გამყოფი ხაზი.

51. სამშენებლო საქმიანობა - სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა დასახლებული ტერიტორიებისა და ცალკეული მიწის ნაკვეთების უძრავი განვითარების სფეროში, მიწის ნაკვეთების გამოყენების სახეობებისა და შესაძლებლობების დადგენაში, მათზე უძრავი ქონების ობიექტების დაპროექტებასა, მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში, მოქალაქეთა, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების, აგრეთვე, ისტორიულ-კულტურული, ეკოლოგიური, ბუნებრივი, საინჟინრო-ტექნიკური ხასიათის თავისებურებების გათვალისწინებით.

52. საჯარო ინტერესები - ქვეყნის დასახლებებისა და დასახლებათაშორისი ტერიტორიების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობების უზრუნველყოფა, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, ბუნებრივი რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება.

53. მარეგულირებელი საბჭო - სამსახურთან მოქმედი სპეციალური ზონალური ნებართვების მარეგულირებელი საბჭო.

54. უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა - უფლებრივი ზონირების რუკის სახეობა, რომელიც ადგენს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით“ განსაზღვრული ქვეზონების შესაძლო სახეობებს და მათი ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების პარამეტრებს.“

3. გადაწყვეტილებით დამტკიცებულ წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის III თავი:

„თავი III“

ქ. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების წესი

მუხლი 23¹. ქ. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების წესის მიზანი

1. ქ. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების წესის (შემდგომში - წესი) მიზანია ქ. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდგომში - რეგულირების გეგმა), დამუშავებისთვის ძირითადი მოთხოვნების განსაზღვრა, დამუშავებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შეთანხმებისა და დამტკიცების წესის დადგენა.

2. დამტკიცებული რეგულირების გეგმის შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის, აგრეთვე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის და წარმოადგენს კონკრეტული გეგმარებითი ტერიტორიის განვითარების სამართლებლივ-ნორმატიულ ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციას და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.

3. რეგულირების გეგმის დამუშავების არსია:

ა) დეტალური ტერიტორიებისთვის დაადგინოს მიწათსარგებლობის ზონები და ქვეზონები, მათ არეალში უძრავი ობიექტების გამოყენების დასაშვები სახეობები;

ბ) გამოავლინოს და დააზუსტოს ცალკეული ქალაქგეგმარებითი ერთეულები, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებითი და სივრცით-მოცულობითი მახასიათებლები, უძრავი ობიექტების განაშენიანების განვითარების პარამეტრები და მათი დასაშვები მაჩვენებლები;

გ) დააზუსტოს რელიეფის ორგანიზაციის, კეთილმოწყობისა და გამწვანების, საინჟინრო კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის მოწყობისა და განვითარების, სატრანსპორტო და ქვეითა მოძრაობის უზრუნველყოფის შესაძლებლობები;

დ) საჯარო და კერძო ინტერესების მაქსიმალური თანხვედრის პირობებში, გარკვეული გეგმარებითი ტერიტორიის ფარგლებში დაადგინოს ყველა შესაძლებელი უძრავი ქონების განვითარების კანონზომიერი შესაძლებლობები და რეალიზაციის საშუალებები ქალაქთმშენებლობითი სამართლებლივი დოკუმენტების და რეგლამენტების, ისტორიულ-კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური, საინჟინრო-ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 23². რეგულირების გეგმის შინაარსი და დამუშავების პირობები

1. რეგულირების გეგმა მუშავდება ახალი მშენებლობის და რეკონსტრუქციის ტერიტორიებისთვის, რომელთა საზღვრები (შემდგომში - ტერიტორია) დგინდება ფუნქციური, გეგმარებითი და სივრცითი ურთიერთკავშირების და მათ მიმართ სამართლებლივი მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. ტერიტორიის წარმოსახვითი საზღვრების ფარგლებს, აგრეთვე დასამუშავებელი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების მოცულობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვრავს და ამტკიცებს ქ. თბილისის მერიის უძრავი და დაგეგმარების საქალაქო სამსახური (შემდგომში - სამსახური) დამკვეთთან და დამპროექტებელთან შეთანხმებით მოქმედი კანონმდებლობის, აგრეთვე ამ წესის მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. რეგულირების გეგმაში ასახული უნდა იყოს ტერიტორიის განვითარების აუცილებელი პირობები (სამართლებლივი, ფიზიკური, სივრცით-მოცულობითი, ტექნიკური, საინჟინრო უზრუნველყოფის, გამწვანების, კეთილმოწყობის და სხ.).

4. რეგულირების გეგმის დამკვეთები შეიძლება იყვნენ:

ა) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

ბ) იურიდიული და ფიზიკური პირები;

5. რეგულირების გეგმის დამუშავების უფლება აქვთ:

ა) სამსახურს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

ბ) შესაბამისი პროფესიული განათლების და გამოცდილების მქონე ფიზიკურ პირებს და მათ ჯგუფებს, აგრეთვე არქიტექტურულ-სამშენებლო პროფილის იურიდიულ პირებს.

6. რეგულირების გეგმის დამუშავების შესახებ მოქალაქეთა, მათი გაერთიანებების, და იურიდიული პირების ინფორმირება, აგრეთვე განხილვისა და შეთანხმების პროცედურებში მათი მონაწილეობა უნდა წარმართოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

7. სამსახურს უფლება აქვს მოითხოვოს დამკვეთისგან და დამპროექტებლისგან, განსახილველად წარმოდგენილი რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება მარეგულირებელი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

8. რეგულირების გეგმის პროექტი განსახილველად წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ან 3 სტანდარტების შესაბამისი ფორმატის ალბომ(ებ)ის სახით და უნდა შეიცავდეს ალბომ(ებ)ის შინაარსის ამსახველ, ამოსაბეჭდ და საპრეზენტაციო ელექტრონულ-ციფრულ მასალას.

9. დამტკიცებული რეგულირების გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური.

10. დამტკიცებული რეგულირების გეგმის მოქმედების ვადაა 5 წელი.

მუხლი 23³. რეგულირების გეგმის შემადგენლობა.

1. რეგულირების გეგმა უნდა მოიცავდეს:

ა) პროექტის თავფურცელს ობიექტის, დამკვეთისა და დამპროექტებლის სახელწოდებითა და სათანადო რეკვიზიტებით;

ბ) განმარტებით ტექსტურ ნაწილს, გრაფიკულ პოლიგრაფიულ და საპრეზენტაციო ელექტრონულ-ვიზუალურ მასალას;

გ) განსახილველი ტერიტორიის საწყის მონაცემებს;

დ) ტერიტორიაზე უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარების ქალაქთმშენებლობით და არქიტექტურულ-გეგმარებით პირობებს;

ე) ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებებს განსახილველი ტერიტორიის მომიჯნავე ტერიტორიებზე.

მუხლი 23⁴. ტერიტორიის რეგულირების გეგმის საწყისი მონაცემები

1. საწყისი მონაცემების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იქნას:

ა) ტერიტორიის მდებარეობის საორიენტაციო სქემა;





№ 131. შაბათი. 7 ივლისი. 2007 წელი.

- ბ) ტერიტორიის სიტუაციური გეგმა;
 - გ) ტერიტორიის სიტუაციური ორთოფოტო;
 - დ) ტერიტორიაზე არსებული საკადასტრო მასალების მონაცემები;
 - ე) დაინტერესებულ ფიზიკურ პირებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებათა და ინფორმირების, მათ შორის მოქალაქეთა, მათი გაერთიანებების, იურიდიული პირების დოკუმენტურად დადასტურებული მასალები (კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოცულობით);
 - ვ) ტერიტორიის ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური საფუძველი (არა ნაკლებ განსახილველი ტერიტორიის ფარგლებში);
 - ზ) ტერიტორიის გეგმა (გეგმები), მიწისქვეშა და მიწისზედა სინჟინრო კომუნიკაციების მონაცემებით;
 - თ) მონაცემები ტერიტორიაზე არსებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შესახებ;
 - ი) მონაცემები ტერიტორიაზე გავრცელებული გეგმარებითი შეზღუდვების შესახებ;
 - კ) ტერიტორიის ქალაქმშენებლობითი ზონირებისა მონაცემები (არა ნაკლებ განსახილველი ტერიტორიის ფარგლებში);
 - ლ) მონაცემები ტერიტორიაზე არსებული **განაშენიანების რეგულირების ხაზების** (წითელი ხაზები) და **განაშენიანების სავალდებულო ხაზების** (ლურჯი ხაზები) შესახებ;
 - მ) ტერიტორიაზე და მის მომიჯნავედ განლაგებული მიწის ნაკვეთების სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი: შენობა-ნაგებობების იდენტიფიკაცია მათი ფუნქციების მიხედვით (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, შერეული, საკულტო, ახლად აშენებული, მშენებარე).
 - ნ) ტერიტორიაზე არსებული შენობების სართულიანობისა და სიმაღლეების იდენტიფიკაცია;
 - ო) მონაცემები ტერიტორიაზე განლაგებული საინჟინრო ნაგებობების, კომუნალური ობიექტების, გარაჟების და ავტოსადგომების შესახებ;
 - პ) მონაცემები ტერიტორიაზე არსებული გამწვანებისა და კეთილმოწყობის ობიექტების შესახებ;
 - ჟ) ტერიტორიაზე არქიტექტურული ობიექტ(ებ)ის მშენებლობისა და/ან რეკონსტრუქციისთვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთ(ებ)ის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული ნაგებობების პასპორტებით (მისამართი, არსებული ნაგებობების ფართობი, ფიზიკური მდგომარეობა, სართულების გეგმები სათავსების ექსპლიკაციით).
 - რ) ტერიტორიისა და უძრავი ობიექტების ფოტოფიქსაცია, **3** ელექტრონულ-ციფრული მაკეტირების ვერსიები.
- 2. ქ. თბილისის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეგულირების ზონების ფარგლებში, ტერიტორიის რეგულირების გეგმის საწყისი მონაცემები** დამატებით უნდა შეიცავდეს:
- ა) ტერიტორიის ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმას (არქიტექტურულ-გეგმარებითი და სივრცით-კომპოზიციური ასპექტები ძირითად ისტორიულ ეტაპებზე; არქიტექტურულ-კომპოზიციური დომინანტების ვიზუალურ-სივრცითი კავშირები და მათი ზონების ანალიტიკური სქემები; არქეოლოგიური ძეგლებისა და კულტურული ფენების შესაძლებელი საზღვრები);
 - ბ) ძეგლის სტატუსისა და ძეგლის ნიშნის მქონე შენობა-ნაგებობების ანალიზს.

მუხლი 23⁵. ტერიტორიაზე უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარების ქალაქმშენებლობითი და არქიტექტურულ-გეგმარებითი პირობები

1. ტერიტორიაზე უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარების ძირითადი ქალაქმშენებლობითი და არქიტექტურულ-გეგმარებითი პირობები წარმოდგენილ უნდა იქნას გრაფიკული მასალის, მარეგლამენტირებელი მაჩვენებლების ცხრილ(ებ)ის, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, განაშენიანების ესკიზის, განშლების, **3D** ელექტრონულ-ციფრული მაკეტირების ვერსიების სახით და უნდა მოიცავდეს:
 - ა) რეგულირების გეგმის დამუშავების ტერიტორიული საზღვრებს;
 - ბ) ტერიტორიის **დეტალური უფლებრივი ზონირების რუკას**;
 - გ) ტერიტორიაზე უძრავი ობიექტების გამოყენების ძირითად დასაშვებ სახეობებს, აგრეთვე დასაშვებ სახეობებს, რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურებით საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას;
 - დ) ტერიტორიაზე უძრავი ობიექტების განაშენიანების განვითარების პარამეტრებს (მიწის ნაკვეთების დასაშვები განაშენიანების კოეფიციენტი, განაშენიანების ინტენსიურობის კოეფიციენტი და გამწვანების კოეფიციენტი);
 - ე) ტერიტორიის განაშენიანების სართულიანობისა და/ან სიმაღლის მაქსიმალურ მაჩვენებლებს;
 - ვ) მიწის ნაკვეთების **განაშენიანების რეგულირების ხაზებს** (წითელი ხაზები) და **განაშენიანების სავალდებულო ხაზებს** (ლურჯი ხაზები), მათ ფართობებსა და ზომებს;
 - ზ) ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლ(ებ)ისთვის მისაკუთვნიებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის საზღვრების დასაბუთებულ საპროექტო წინადადებას, ამ მიწის ნაკვეთ(ებ)ის რეალური გამოყენებისა და განვითარების ფაქტორების გათვალისწინებით;
 - თ) არქიტექტურული ობიექტ(ებ)ის განლაგების პირობებს, მათ შორის: არსებული და საპროექტო საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტთა სიმძლავრეებს; გამწვანებული ტერიტორიების ფართობებს; ავტოსადგომების, გარაჟების რაოდენობასა და ფართობებს;
 - ი) არქიტექტურული ობიექტ(ებ)ის ტერიტორიაზე განლაგების გეგმას;
 - კ) ქვეითა მოძრაობის, სატრანსპორტო მისასვლელებისა და დროებითი ავტოსადგომების სქემას;
 - ლ) შესაანარჩუნებელი და შესაბამისი ნებართვით დამუშავებული გამწვანების სალიკვიდაციო ნაწილების საზღვრები და ფართობები.
 - მ) ტერიტორიის გეგმარებითი ორგანიზაციის შესაბამისობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან.
- 3. შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებით შეიძლება წარმოდგენილი იქნას:**
- ა) ტერიტორიის გამწვანების განვითარების სქემა;
 - ბ) საინჟინრო კომუნიკაციების გადაწყობისა და მოწყობის პირობები;

ტო წინადადებას, ამ მიწის ნაკვეთ(ებ)ის რეალური გამოყენებისა და განვითარების ფაქტორების გათვალისწინებით;

- თ) არქიტექტურული ობიექტ(ებ)ის განლაგების პირობებს, მათ შორის: არსებული და საპროექტო საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტთა სიმძლავრეებს; გამწვანებული ტერიტორიების ფართობებს; ავტოსადგომების, გარაჟების რაოდენობასა და ფართობებს;
 - ი) არქიტექტურული ობიექტ(ებ)ის ტერიტორიაზე განლაგების გეგმას;
 - კ) ქვეითა მოძრაობის, სატრანსპორტო მისასვლელებისა და დროებითი ავტოსადგომების სქემას;
 - ლ) შესაანარჩუნებელი და შესაბამისი ნებართვით დამუშავებული გამწვანების სალიკვიდაციო ნაწილების საზღვრები და ფართობები.
 - მ) ტერიტორიის გეგმარებითი ორგანიზაციის შესაბამისობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან.
- 3. შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებით შეიძლება წარმოდგენილი იქნას:**
- ა) ტერიტორიის გამწვანების განვითარების სქემა;
 - ბ) საინჟინრო კომუნიკაციების გადაწყობისა და მოწყობის პირობები;

მუხლი 23⁶. ქალაქმშენებლობითი ღონისძიებები განსახილველი ტერიტორიის მომიჯნავე ტერიტორიებზე

1. განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში **რეგულირების გეგმის დამუშავებისას**, მომიჯნავე ტერიტორიებზე ჩასატარებელი ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების შინაარსი და მოცულობა ასახული უნდა იყოს **სამსახურის** მიერ გაცემულ **გეგმარებით დავალებაში** და წარმოდგენილ უნდა იქნას გრაფიკული მასალის, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და განმარტებითი ბარათის სახით.
2. ამ ნაწილის დამუშავების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას იმ ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების ნუსხა, რომელიც (მთლიანად ან ნაწილობრივ) შედის დამკვეთის მიერ ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის ჩამონათვალში. მათ შორის:
 - ა) გზების, მისასვლელების, ავტოსადგომების მშენებლობა და/ან რეკონსტრუქცია;
 - ბ) ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება;
 - გ) მომსახურების ობიექტების, მათ შორის სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეკონსტრუქცია;
 - დ) საინჟინრო კომუნიკაციებისა და ნაგებობების მშენებლობა და/ან რეკონსტრუქცია.

მუხლი 23⁷. რეგულირების გეგმის დამუშავების დამატებითი მოთხოვნები

1. დამკვეთი და დამპროექტებელი ვალდებული არიან **რეგულირების გეგმის** დამუშავებისას გათვალისწინონ:
 - ა) **რეგულირების გეგმით** მოცული ტერიტორიის ფარგლებში არსებული ყველა უძრავი ქონების მესაკუთრის ინტერესები, კერძოდ, აუცილებელია **რეგულირების გეგმაში** ყოველ დასაპროექტებელ ობიექტს განესაზღვროს მასზე ნორმატიულად მისაკუთვნიებული მიწის ნაკვეთის პირობითი საზღვრები, გრაფიკულად აღნიშნული წყვეტილი წითელი ხაზებით;
 - ბ) კერძო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქმშენებლობითი განვითარების პერსპექტივა;
 - გ) **სამსახურში** მოქმედი „სპეციალური ზონალური ნებართვების მარეგულირებელ საბჭოს“ რეკომენდაციით წამოყენებული ისეთი დამატებითი მოთხოვნები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით, მაგრამ მათი გათვალისწინება აუცილებელია კონკრეტული გეგმარებითი ტერიტორიის ოპტიმალური ქალაქმშენებლობითი განვითარებისთვის.
2. **რეგულირების გეგმის** შედგენაზე დამკვეთისა და დამპროექტებლის **განაცხადისა** და **გეგმარებითი დავალების** ფორმების, აგრეთვე **რეგულირების გეგმის** შედგენის ამსახველი ეტალონური ალბომისა და მისი ელექტრონულ ციფრული ვერსიის დამუშავებასა და მიწოდებას უზრუნველყოფს **სამსახური**.

23⁸. რეგულირების გეგმის დამტკიცების პროცედურა

1. განცხადება რეგულირების გეგმის დასამუშავებლად გეგმარებითი დავალების გაცემის თაობაზე წარედგინება **სამსახურს**, რომელიც 30 დღის ვადაში განიხილავს გეგმარებითი დავალების გაცემის საკითხს.
2. გეგმარებითი დავალების საფუძველზე შედგენილი **რეგულირების გეგმის** პროექტი წარედგინება **სამსახურს**. წარმოდგენილი **რეგულირების გეგმის** პროექტის შესახებ **სამსახურთან** მოქმედი „სპეციალური ზონალური ნებართვების მარეგულირებელ საბჭო“ 14 სამუშაო დღის განმავლობაში ამზადებს დასკვნას წარმოდგენილი პროექტის შესახებ. **სამსახური**, წარმოდგენილი **რეგულირების გეგმის** პროექტის ჩაბარებიდან 21 სამუშაო დღის განმავლობაში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით იღებს გადაწყვეტილებას **რეგულირების გეგმის** პროექტის დასაბუთებულ საპროექტო წინადადებას, ამ მიწის ნაკვეთ(ებ)ის რეალური გამოყენებისა და განვითარების ფაქტორების გათვალისწინებით;



ტის შეთანხმებისა და თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოსთვის გადაცემის თაობაზე.

4. გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესების დანართ 1-ში სარეკრეაციო ზონის, კერძოდ ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დაშვებულ სახეობებში, რომლებიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) ნებართვას – ჩამონათვალში მე-7 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სკოლა და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზირებული დაწესებულებები“

5. გადაწყვეტილება ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბაზა ბეზარაძე

ბანმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების წესი“ (შემდეგში – წესი) დამუშავებულია: საქართველოს კანონების „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, აგრეთვე, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერიის დებულების“, „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესი“, „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ (უფლებრივი ზონირება) მოთხოვნების შესაბამისად.

წესის მიზანია დედაქალაქში მიწათსარგებლობისას, ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების, ამ მიმართებით ცალკეულ მიწის ნაკვეთებზე არქიტექტურული ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტის წინა და საპროექტო სამუშაოების ეტაპობრივი, აპრობირებული პროცესების სრულყოფა და, ზოგადად, ამ საკითხების მოქნილი ადმინისტრირების ხელშეწყობა სამართლებრივი მეთოდებით.

ქალაქგანვითარების მოცემულ ეტაპზე, დოკუმენტი განსაკუთრებულად მიმართულია დედაქალაქის ტერიტორიებისა თუ ცალკეული უძრავი ქონების განვითარების იმ შემთხვევებზე, რომლებიც მკვეთრად გამოირჩევიან ეკონომიკური განვითარებისა და ურბანული გარემოს ცვლილებების მაღალი ხარისხით.

განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების შედეგად, უძრავი ქონების შესაბამის მესაკუთრებს ექმნებათ უკეთესი შესაძლებლობა მიიღონ და მიაწოდონ შესაბამის სამსახურებს სამართლებრივად და პროფესიული თვალსაზრისით გამართული პროექტის წინა საკვლევი და საპროექტო მასალები უძრავი ქონების ქალაქმშენებლობითი განვითარების ოპტიმალური შესაძლებლობების შესახებ.

შესაბამისად, დედაქალაქის თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების სამსახურებს, დამკვეთებს და დამპროექტებლებს შეეძლება გაუმჯობესებული პირობები, რათა მიიღონ სამართლებრივად სრულყოფილი და დასაბუთებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია უძრავი ქონების განვითარების დაგეგმვის, მათი დაპროექტების, შეფასებისა და შეთანხმების პროცესში.

ზემოთმოყვანილი საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინების გარდა, ამ დოკუმენტის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნა ქალაქგანვითარებისა და სამშენებლო საქმიანობის სფეროში, როგორც განვითარებული, ასევე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების, საქართველოსათვის გამოსადეგი და გამოყენებადი გამოცდილება.

წარმოდგენილი დოკუმენტის ამოქმედების შემთხვევაში და მისი მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელებით, უდავოდ გამოვლინდება ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორება უნდა მოხდეს მმართველობითი სტრუქტურებისა და დარგის სპეციალისტთა ემპირიული გამოცდილებისა და თეორიული ცოდნის საფუძველზე, მოცემულ დოკუმენტში ეტაპობრივად განხორციელებული დამატებებისა და ცვლილებების გატარების მეშვეობით.

ამასთან, ზემოაღნიშნული წესის მიხედვით სარეკრეაციო ზონა 1-ში და სარეკრეაციო ზონა 2-ში დაშვებულია სპეციალიზირებული რეკრეაციული დაწესებულებები სკოლამდელი ასაკის მოზარდებისათვის, თუმცა რუ-2-ში დაშვებულია ზოგადად თითქმის ყველა

რეკრეაციული დანიშნულების დაწესებულებები (დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, მოხუცთა ინტერნატები და სხვა).

ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ სასკოლო ასაკის სპეციალიზირებული დაწესებულებების გაუთვალისწინებლობა ხსენებულ ნორმატიულ აქტში წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის ხარვეზს და აღნიშნული ცვლილებები გამართლებული როგორც ქალაქგანვითარებითი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით.

წინამდებარე დოკუმენტი დამუშავებულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ.

რას წერენ, რას აზრობენ ჩვენზე

საქართველოს იმედი აქვს, რომ სოჭის ოლიმპიადა დააზოგინებს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს

საქართველოს პარლამენტის სპიკერ ნინო ბურჯანაძის იმედი აქვს, რომ 2014 წელს რუსეთის ძალაში სოჭში ზამთრის ოლიმპიური ასპარეზოსი დააზოგინებს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს.



არა ნებატიურ მხარეა, რომელიც ახამდე კიდევ არსებობს ჩვენს ურთიერთობაში... „ყოველ შემთხვევაში, საქართველომ მხარს უჭერს მოლაპარაკებას და საკითხების პროფიტიურ გადაწყვეტას, – აღნიშნა სპიკერმა. – მსურს ვიფიქროთ, რომ რუსეთიც ამას გააკეთებს.“

ასეთი განცხადება ნინო ბურჯანაძის გააკეთა უკრაინის უზენაეს რადაში, სადაც გაიხსნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის 80-16 სესია.

„გულახდილად რომ ვთქვათ, რუსეთთან დღემდე ძალზე რთული ურთიერთობა გვაქვს, – აღიარა მან. – თუმცა, პროფიტიურად მიიჩნევა ის, რომ ჩვენი პრაგმატიკული მიზნების დაკმაყოფილებას, ილაპარაკოს, მათ შორის განიხილეს კონფლიქტების მშვიდობიანი პოლიტიკური გზებით მოწესრიგების საკითხებიც.“

საქართველოს პარლამენტის სპიკერს ალუა მინოვას მიმართა მინიშნება ის, რომ რუსეთმა მოიპოვა სოჭში ოლიმპიადის გამართვის უფლება. „ეს განხილვა დამატებითი სტიმული იქნება, რომ რუსეთმა შეასრულოს პოლიტიკური როლი არსებული კონფლიქტის მოწესრიგებაში, – განმარტა ბურჯანაძე. – ყველა მხარეს გასაგებია, რომ ახსრული იქნებოდა ოლიმპიადის გამართვა სოჭში, მაშინ, თუ იქვე განხილულად შენარჩუნებული იქნება ახინდული კონფლიქტი, რომელიც შეიძლება ავითქვას ნაზისიერი მომენტები.“



როგორც ნინო ბურჯანაძე თქვა, „რუსეთს და საქართველოს აქვთ მრავალი შესაძლებლობა იმისთვის, რომ ყურადღება გაამახვილონ პროფიტიურ, და

„იმედის თვალთშეპყრობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოწესრიგებას, – განაცხადა მინოვა. – საქართველოს პარლამენტის სპიკერმა. – ამ მიზნით საქართველოს ხელმძღვანელებს განუადგინოთ სერიოზული ნაბიჯები და ჩვენ ამ საკითხში ველით სავითარებო მხარდაჭერას.“

შეგახსენებთ, რომ რუსეთის კურორტი სოჭი დასახლდა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური ასპარეზოსის დედაქალაქად. სავითარებო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა ასეთი გადაწყვეტილება გამოაცხადა ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელმა შაკროვამ. კანცისიერი იმედი აქვს, რომ სოჭში ოლიმპიური ასპარეზოსი მოიხატოს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური ასპარეზოსის დასრულების შემდეგ.

შეგახსენებთ ასევე, რომ კიევში გაიხსნა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 80-16 სესია. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა არის ტრადიციული ფორუმი, რომელიც იმართება წლიურად ორჯერ – თებერვალსა და ივლისში. კიევის სესიონი 9 ივლისამდე გასტანს. მასში მონაწილეობს ეუთოს წევრი 56 ქვეყნის 52 დელეგაციიდან. ყირგიზეთის, ალბანეთის, მოლდოვისა და ჩერნოგორიის დელეგაციები ღონისძიებას არ მონაწილეობენ. სესიონი შედგება მხარეების მიხედვით მიღებულ შესაბამის რეზოლუციას.



სოჭი ოლიმპიური ასპარეზოსის ესტაფეტას საქართველოს ძალაქს გადასცემს?

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური ასპარეზოსის განსამართლებად განაცხადოს შტაბის შესახებ. ასეთი განცხადება გააკეთა ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მთავარმა მრჩეველმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ჯანო ბაგრატიონმა.

„2006 წლის დამდეგს ოფიციალურად შვიტანეთიდან დასრულდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტში ზორჯომ-ბაკურიანში 2014 წლის ასპარეზოსის გამართვის თაობაზე, სადაც არის ყველა პირობა საერთაშორისო სპორტული ფორუმის მისაღებად, – თქვა ბაგრატიონმა. – ბაგრამ ჩვენ ნიშნულად გვქონდა შიგნითი, რომ პირველი ცდილან ვერ მოვიპოვებდით

საქართველოში ოლიმპიადის გამართვის უფლებას.“ როგორც ჯანო ბაგრატიონმა თქვა, როცა მოიხსნა ზორჯომ-ბაკურიანის კანდიდატურა, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მხარი დაეჭირა სოჭისთვის. მას იმედი აქვს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 2018 წლის ასპარეზოსის გამართვის კანდიდატურების განხილვისას რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი დაუჭირებს მხარს საქართველოს.

ამრიგად, გამოირჩევა უარი არ არის, რომ სოჭი ოლიმპიური ასპარეზოსით ბაგრატიონის ესტაფეტა საქართველოს ძალაქს გადასცემს.

საქართველოში ოლიმპიადის გამართვის უფლებას.“ როგორც ჯანო ბაგრატიონმა თქვა, როცა მოიხსნა ზორჯომ-ბაკურიანის კანდიდატურა, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მხარი დაეჭირა სოჭისთვის. მას იმედი აქვს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 2018 წლის ასპარეზოსის გამართვის კანდიდატურების განხილვისას რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი დაუჭირებს მხარს საქართველოს.



№ 131. შაბათი. 7 ივლისი. 2007 წელი.

სახარება მოგვითხრობს, ანგალოზის კეთილი ხარება აუსრულდა გვგვინდა. მისგან გვეუბნება შვაძი. შესრულდა სულიწმინდის წინასწარმეტყველება ჩრდის დიდი მოწოდების შესახებ – იყოს უფლის წინამორბედი




☉ სულიწმინდა

შობა იოანესი

7 ივლისს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღსანიშნავად – პატივსაცემად, დიდებულსა და წინასწარმეტყველისა და

ლევან იერუსალიმის ტაძარში, მას სპირიტუალურ გამოცხადებად უფლის ანგალოზი, ზაქარიას შევიწმინდა, მარკო ანგალოზი და უფლისა: ნუ გვეძინებ, ზაქარიას, შესამედილია შენი ლოცვა, შენი ცოლი ელისაბედი შობს ძეს და ღაბრძემავ მას იოანესი. გვეძინებ შენ სინარული და მხიარულია. მისი დაბადებით გვეძინებ განხარება, ვინაიდან არსაფარად ხალხს ქვეყნის მსხველმის მიხედვად.



როგორც სახარება მოგვითხრობს, ანგალოზის კეთილი ხარება აუსრულდა გვგვინდა. მისგან გვეუბნება შვაძი. შესრულდა სულიწმინდის წინასწარმეტყველება ჩრდის დიდი მოწოდების შესახებ – იყოს უფლის წინამორბედი.

ნათლისმცემისა – იოანეს შობას.

იუდეის მეფის ჰეროდეს ზეობის ხანაში იუდეაში ცხოვრობდა გვგვინდა ზაქარიას. ზაქარიას და მისი მეუღლე ელისაბედი უშვილოდ მოხუცდნენ.

...ერთხელ, როდესაც გვგვინდა ზაქარიას მორიგ გვგვინდასა უბრძანა ასრუ-

სასწავლს განსაკუთრებული ზვირით აღნიშნავდნენ ავტორში, იოანე ნათლისმცემლის შობის სახელოვის ტაძარში.

მოამზადა გიული ლიპარტიანი სურათზე: იოანე ნათლისმცემლის შობის სახელოვის ტაძარი.

გიორგი ვეტირაშვილის ფოტო.

☉ მოღა

ღანტოსტაბი გათუფი

გათუფი, კინოთეატრ „თავისში“ სტომატოლოგთა საერთაშორისო კონგრესი მიმდინარეობს, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მედიკოსები ერთმანეთს სტომატოლოგიაში დაწინარებულ გეგმებს განიხილებენ.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობები. კონგრესის მედიკოს-სტომატოლოგებთან ერთად სტუდენტებიც ესწრებიან, რომლებსაც კონგრესის დასრულების შემდეგ სერტიფიკატიანი გაიცავთ.

„ველოს კონკეა“ გიუნესეში გაიტაცეს

საქალაქო სასამართლომ გამოკალვის ფაქტზე დაკავებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს, ალკვითის დონისძიების სახით, წინასწარი ორთქიანი პატიმრობა შეუფარდა.

შეგახსენებთ, რომ 5 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა აღაშინის გატაცებისა და დიდი ოდენობით ფულის გამოკალვის ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა.

დაკავებულია ექვსი პირი – კახაბერ რევიშვილი, კონსტანტინე გოგოლაშვილი, გამუკა ლომთაძე, ზვირ სუთიძე და მამა-შვილი ირაკლი და ევგენი გურგოძეები 21 ივნისს ფულის გამოკალვის მოტივით გიუნესეში გატაცებაში არიან ეჭვმიტანილნი. მათ გატაცებული 100 ათასი აშშ დოლარის გადახდის საანგარიშო გაათავისუფლეს.

გამოკალვის ინფორმაციით, დანაშაულებრივი ჯგუფის მცხოვრები კანონიერი ძურდის, ენ. „პენო“ სახელით მოქმედებდა. დაკავებულთა გიუნესეში ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალება „პეროინი“ ამოიღეს.

7 ივლისი, 2007 წელი. № 131. საბათი.

☉ სუბარსიტყვა

მორიგ გაქვირებაზე თქმული

ხან ამ, ხან იმ ზადიჯად იმართება ნაირგვარი შეხვედრა და საბიტი. აგდან ვოიაშის განსამართლებლად სხვა არაპი მოიგონონ, სხვა მითი!

...სამიტები რა ეშვაკად მჭირდება, თუ ცხოვრება ნულ-ცხრინან ძვირდება.

თამაზ ილიაძე

☉ ანექლოტაბი

მედსანტაბი თვითმფრინავიდან სტაბიან. გოლოზ გორტა მისი და ზებედეტა რეგინან. ზებედეტა გადასტოვა დააბირა, მარგამ მისი შეაჩერა:

– გავიანჩი ამგოვს, ვინც გოლოზ გადაგოსტაბი თვითმფრინავიდან, პარაშუტი არ გაასნებაო.

– სისულელა.

– სისულელა თუ არა, მე გოლოზ არ გადავსტაბი!

– ვო, კარგი, ჯერ შენ გადასტაბი. გადასტაბი მისი. ცოტა ხანში ზებედეტა ჩაუძროლა ღრიალით:

– გავიანჩენის დედაც, მისი!!!



რუსეთის პრეზიდენტი სკოლას ეძვია, გავშვავს თავის მუშაობაზე, ქვეყნის განვითარებასა და პრესეპტივებზე ესაუბრა, გოლოზ კი დაასკვნა: „გავშვავო, თუ ჩვენი საგოგოლო გიყვართ, აუცილებლად უნდა გადაინადოთ გადასახადები.“

შეკითხვები თუ გააძვო, იკითხეს გერა.

გოლოზ ვერხიდან ვოვოჩკამ ასწია ხელი. – აბა, მკითხე, რა გინდა, – ეუბნება პრეზიდენტი.

– „ერთი რამის დაჯუსტება გინდა, – ამგოვს ვოვოჩკა, – თუ საგოგოლო სიყვარულისთვის ფულს იტოვებს, ის მამაში ყოფილა, ხომ? – თუ ასეა, მაშინ თქვენ სუბენიორი ხართ, არა?“

დილით მსახიორი ძალი ეჩხუბება მასთან საწოლში მყოფ მამაკაცს:

– იდიოტო! ნაძირალავო! ვირუტყვიო! არაფრადავო! გუშინ საღამოს რომ მითხარი, რეჟისორი ვარო, რად არ დააჯუსტე, შე ვიპინდარა, რომ თურქი რეჟისორი გულტინიკატო-

რი ხარ?

არსებითად მამაკაცები იგივე ძაღვები არიან... თვიურად კი აძვო. მხოლოდ მას სხვა სახელი – ხელჯანი ჰქვია. მის დადგომამდე მამაკაცები ნერვიულობენ, დღეებს მითვება ითვლიან, მამა კი თავი და გუცელი სტაბიან...

☉ ლარის კურსი

7 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შეფასების კურსი

ინგლისური გირე. სტერლ.	1	3,3650 ლარი
აშშ დოლარი	1	1,6685 ლარი
ევრო	1	2,2770 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0650 ლარი.
აშერბაიჯანული მანათი	1	1,9508 ლარი.
სომხური დრამი	100	0,4919 ლარი.
უკრაინული გრივენა	10	3,3191 ლარი.

☉ კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA აიფუო და დაბადობდა გამოცემლობა მამიძეშვითი. მ. მუსტაფას ქ. №14. ტელ: 93-50-22. დაბედა გამოცემლობა „კოლორი“ სტაბიან, რევიშვილ მისი, 20.	გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოცემები შეს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ფუნდისტი. მისამართი: კოსტავას ქ. №14. ტ. 899 53766; 98-96-33.	შეს „თანადგობა“-ი“ მინიჭის ქ. №12. ტ. 899 797679; 98-96-32.	მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი მორიგე რედაქტორი გამუკა ვახუშტიძე	ინდექსი 66434, მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. მთავარი რედაქტორი: 98-96-34. მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33. სარედაქციო განყოფილება: 98-96-32, 899 328576	რედაქციის მიერ შექმნილი მასალები დამატება ავტორთა ხარჯით. წერილები მოყვანილი უნდა იქონიებდეს ავტორს ავან ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, შელამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ავტორებს მთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყო 2-2,5 ნაბედა გვერდზე მათი მოსულობის სტაბიან ნუ შემოვთავაზებენ.
--	---	---	--	---	---